



თიბისი კაპიტალი

ყოველკვირეული განახლება მთავარი ეკონომისტიდან

18 აპრილი 2022

ოთარ ნადარაია
მთავარი ეკონომისტი,
თიბისი ჯგუფი

ანა მჟავანაძე
უფროსი მაკრო-ფინანსური
ანალიზის განყოფილება,
თიბისი ბანკი


ცოტნე მარღია
ანალიტიკოსი

მამია ინჟირველი
სტაჟიორი

#SUPPORTUKRAINE

საქონლით ვაჭრობის, ტურიზმისა და გზავნილების უახლესი მაჩვენებლები შედარებითი ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. მარტში ექსპორტისა და იმპორტის ზრდა [მოლოდინების შესაბამისად](#) შენედა, თუმცა მაინც ძლიერი იყო, განსაკუთრებით ექსპორტის მიმართულებით, მაშინ, როდესაც იმპორტზე, სავარაუდოდ შიდა მოთხოვნის შემცირებამ მოსალოდნელზე მეტად იმოქმედა. საქონლით ვაჭრობის დეტალური მაჩვენებლები ამ კვირაში იქნება ხელმისაწვდომი. ტურიზმის აღდგენა კი, მიგრაციის ეფექტის ჩათვლით, გაძლიერდა კიდევ. გზავნილების მხრივ, მარტში დაფიქსირებული მდგრადობის შემდეგ, აპრილში მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენციასაც კი ჰქონდა ადგილი.


შემოსავლები ტურიზმიდან (აშშ დოლარი, 2019 წლის შესაბამისი თვე = 100)



შენიშვნა: თიბისისა და სებ-ის მონაცემების დინამიკა შეიძლება განსხვავდებოდეს ტურისტულ დანახარჯებში ცვალებადი უნაღლო ტრანზაქციების წილისა და თიბისის საბაზრო წილის გამო. მიგრაციის ეფექტი შეფასებულია თიბისის არხებით სხვადასხვა საბარათე ტრანზაქციების ანალიზის საფუძველზე. სებ-ის მიერ გამოქვეყნებული მარტის ტურისტული შემოდინებების სტატისტიკა მოიცავს მიგრაციის ეფექტის შეფასებას.


წყარო: სებ, თიბისი ბანკი, თიბისი კაპიტალი

მთლიანი გზავნილების შემოდინება თიბისის არხებით (7 დღიანი მსოფსავი საშუალო, წ/წ, %, 12 აპრილით)




წყარო: თიბისი ბანკი, თიბისი კაპიტალი

საქონლის ექსპორტი




წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი

საქონლის იმპორტი




წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი

რუსეთიდან გზავნილების შემოდინება თიბისის არხებით (7 დღიანი მსოფსავი საშუალო, წ/წ, %, 12 აპრილით)




წყარო: თიბისი ბანკი, თიბისი კაპიტალი

შემოსავლები ტურიზმიდან ქვეყნების მიხედვით (აშშ დოლარში, 2019-ის შესაბამისი ტვი=100)



წყარო: სებ


გზავნილები ქვეყნების მიხედვით (აშშ დოლარი)



წყარო: სებ


მთლიანობაში, მიმდინარე ანგარიშის ძირითადი კომპონენტების გაუმჯობესება იკვეთება, რაც 2022 წლისათვის თიბისი კაპიტალის [საბაზო სცენარს](#) წარმოადგენს.

შერიული სავალუტო ნაკადები (მლნ აშშ დოლარი, თ/თ)



შენიშვნა: იმპორტისთვის უარყოფითი რიცხვები ნიშნავს ზრდას; NSA – სეზონური შესწორების გარეშე; SA – სეზონურად შესწორებული
წყარო: საქსტატი, სებ, თიბისი კაპიტალი



საბ-ის საერთაშორისო რეზერვები და სავალუტო ინტერვენციები (მილიონი აშშ დოლარი)



შენიშვნა: მარ-22-ის წმინდა რეზერვების დონე გაანგარიშებულია სებ-სა და კომერციულ ბანკებს შორის სავალუტო სვოპ ოპერაციებისა და ფინანსთა სამინისტროს სსფ-ისადმი ვალდებულების დაშვებით. ფაქტობრივი მონაცემები და ასევე მარ-22-ში სებ-ის აუქციონის გარეშე განხორციელებული ინტერვენციები თვის ბოლოს გამოქვეყნდება.
წყარო: სებ, ფინანსთა სამინისტრო, თიბისი კაპიტალი

უკრაინაში მიმდინარე დრამატული მოვლენების ფონზე, საერთაშორისო ბაზრებზე საქართველოსა და რეგიონის სხვა ეკონომიკების კუთხით სენტიმენტების გაუმჯობესება გრძელდება. კერძოდ, მაშინ როდესაც უკრაინის, რუსეთისა და ბელორუსის სუვერენული რისკ პრემია გაიზარდა, საქართველოსა და რეგიონის სხვა ქვეყნების შემთხვევაში ნორმალიზების ტენდენცია გრძელდება. როგორც ჩანს, ეს საომარი მოქმედებების დაწყების პერიოდთან შედარებით, ნეგატიური ეკონომიკური ზეგავლენის მხრივ უფრო ზომიერი შეფასებების შედეგია.

რეგიონის აშშ ევრობონდებსა და აშშ-ის 10 წლიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდების განაკვეთებს შორის სხვაობა (პპ, 13 აპრილის მდგომარეობით)



წყარო: ბლუმბერგი

მიმდინარე კვირის ანონსი:

- 19 აპრ – საგარეო ვაჭრობის დეტალური სტატისტიკა, 2022 წლის მარტი;
- 20 აპრ – მწარმოებელთა ფასების ინდექსი, 2022 წლის მარტი.



თიბისი კაპიტალი